სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

**ბრძანება** № NCDC 1 23 00000022

**ქ. თბილისი** 09/02/2023 **წელი**

სსიპ-ლ.
საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ განსახორციელებელი "2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N609 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად წარმოსადგენი საანგარიშგებო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე

"2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N609 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს,"2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ"საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N609 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად წარმოსადგენი საანგარიშგებო დოკუმენტაცია და მათი შევსების წესი თანდართული დანართების შესაბამისად:

**ა)** „დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის“ სახელმწიფო პროგრამის **(დანართი#1);**

**ბ)** „იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა“ **(დანართი #2);**

**გ)** „უსაფრთხო სისხლის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #3);**

**დ)** „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ახალშობილთა სმენის დიაგნოსტიკური კვლევის“ კომპონენტი **(დანართი #4);**

**ე)** ”ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“ სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტი **(დანართი #5);**

**ვ)** „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „სკრინინგული კვლევის“ კომპონენტი **(დანართი #6);**

**ზ)** “პროფესიულ დაავადებათა პრევენციის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #7);**

**თ)** “ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის “ტუბერკულოზის პროგრამის რეგიონული მართვის და მონიტორინგის” კომპონენტი **( დანართი #8);**

**ი)** “აივ -ინფექცია/შიდსის მართვის“ სახელმწიფო პროგრამა **(დანართი #9);**

**კ)** ეპიდზედამხედველობის“ სახელმწიფო პროგრამის B და C ჰეპატიტების ეპიდზედამხედველობის კომპონენტი **(დანართი #10).**

**2.** დაევალოს ცენტრის იურიდიულ სამმართველოს უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე – www.ncdc.ge.

**3.** ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**4.** ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი).

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად